ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

19 სექტემბერი 2013 წ

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

რამაზ ლომინაძე - კომისიის თავმჯდომარის მ/შ – ქ. თბილისის ვაკის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი ბეზარაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

აკაკი კობალაძე - სატენდერო კომისიის წევრი – გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

ზურაბ ბარათაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი - გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილი – აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

კონსტანტინე დიხამინჯია – ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში ვაკის გამგეობის ტერიტორიაზე ავტობუსის გაჩერების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი კონკურსის – საკონკურსო განცხადების პირობებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

კომისიის წევრმა, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა –აკაკი კობალაძემ გააცნო საკონკურსო კომისიას: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

კონკურსის ჩატარების მიზანია კონკურსის საშუალებით საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციის მქონე კონკურსანტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ავტობუსის გაჩერების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ესკიზური ნახაზების შედგენის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტი. პროექტი მიღებულ იქნა ერთხმად.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სატენდერო განცხადების პირობები და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი;

2. მოხდეს სატენდერო განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარის მ/შ		**რამაზ ლომინაძე**
კომისიის წევრი:		**გიორგი ბეზარაშვილი**
კომისიის წევრი		**აკაკი კობალაძე**
კომისიის წევრი		**ზურაბ ბარათაშვილი**
კომისიის წევრი		**თამარ ივანიშვილი-ოთარაშვილი**
კომისიის წევრი		**კონსტანტინე დიხამინჯია**